

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები 2016 წლიდან და მისი
გეოპოლიტიკური მნიშვნელობა

ტატო თავშავაძე

*მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერებები, საერთაშორისო
ურთიერთობები, მაგისტრატურის საფეხური*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კონსტანტინე გაბაშვილი, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ტატო თავშავაძე, 26.06.2019

აბსტრაქტი

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. კერძოდ, ახლო აღმოსავლეთში არსებული კონფლიქტები, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის ფარგლებში ჩამოყალიბებული ახალი პოლიტიკა საერთაშორისო ასპარეზზე, აგრეთვე, რუსეთის მომეტებულად აგრესიული პოლიტიკა საერთაშორისო არენაზე და თურქეთის პოლიტიკური წონის ზრდა არსებული რეალობის პარალელურად. აღნიშნულ მოვლენებს დიდი გავლენა აქვს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე, მათ შორის, საქართველოს ეროვნულ ინტერესებსა და უსაფრთხოებაზე, რადგან რუსეთის აგრესიის პირველი მსხვერპლი სწორედ საქართველო გახდა და დღემდე მისი ტერიტორიების 20% ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

რუსეთ-თურქეთის 2016 წლის შემდგომი ურთიერთობები ცვლიან ძალთა ბალანსს ახლო აღმოსავლეთის და შავი ზღვის რეგიონში. ასევე, ჩნდება იმის საფრთხე, რომ მსოფლიო მასშტაბით შეიცვალოს ძალთა ბალანსი, რაც ქმნის ახალ გამოწვევებს საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის.

არსებული რეალობა მოითხოვს, რომ მოხდეს მიმდინარე მოვლენების ჯეროვანი ანალიზი და შეფასება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ნაშრომი, რომელშიც განხილული იქნება ის საკვანძო ფაქტორები, რომლებმაც გამოიწვია ახალი რეალობის ჩამოყალიბება. ასევე, მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარები და რეკომენდაციები არასასურველი შედეგების პრევენციისთვის, როგორც გლობალურ, ისე საქართველოს ჭრილში.

Abstract

Current events around the world deserve special attention. In particular, the conflicts in the Middle East, the new policy established in the framework of the US new administration in the international arena, as well as Russia's excessively aggressive policy in the international arena and the growth of political weight of Turkey in parallel with the existing reality. These events have a great impact on international security, including on the national interests and security of Georgia, as it was Georgia that became the first victim of Russian aggression, and 20% of its territories are still occupied by the Russian Federation.

Since 2016 Russian-Turkish relations have changed the balance of power in the Middle East and Black Sea region. There is also a danger that the balance of power will change around the world, creating new challenges for the international security.

Existing reality requires a proper analysis and assessment of current events to be held. This is precisely the purpose of the work, which will consider the key factors that have led to the formation of a new reality, as well as possible scenarios and recommendations for the development of events in order to prevent undesirable results both in global context and in the context of Georgia.

ძირითადი საძიებო სიტყვები: რუსეთი, თურქეთი, ახლო აღმოსავლეთი, დასავლეთი, ნატო, აშშ, რბილი ძალა, ძალთა ბალანსი

მადლობა: განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ბ-ნ კონსტანტინე გაბაშვილს, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია ნაშრომის შექმნაში, არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი რჩევით.

ასევე, მადლობას ვუხდის გეგა მგალობლიშვილს ინტერვიუსთვის. მისმა მოწოდებულმა ინფორმაციამ განამტკიცა ნაშრომში ჩემ მიერ მოყვანილი შეხედულებები და დახმარება გამიწია თურქეთის სახელმწიფოს ქმედებების ანალიზში.